1. ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის), ვებ-მაუწყებლობის (სტრიმინგი), FTP ჰოსტინგის პლატფორმის სერვისის და კოლოკაციის ზონაში ფიზიკური სერვერის ქირავნობის სახელმწიფო შესყიდვა

ელექტრონული ტენდერის

*-ელექტრონული ტენდერი აბრევიატურით NAT

სატენდერო დოკუმენტაცია

(წინამდებარე დოკუმენტაციაში მოცემულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობები)

კლასიფიკატორის (CPV) კოდი № 72400000 - ინტერნეტ მომსახურებები
72415000 - მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგი

თბილისი

2021 წელი

2. ტექნიკური მოთხოვნები, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:
პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) ინფორმაცია, სად არის განთავსებული საქართველოს ტერიტორიაზე სასერვერო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, სადაც იქნება აგებული მოთხოვნილი ძირითადი/ცენტრალური პლატფორმა, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება ვებ-ჰოსტინგის და ვებ-მაუწყებლობის სერვისების მიწოდება. იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელს (ტენდერის გამოცხადების დღეს) არ გააჩნია აღნიშნული ინფრასტრუქტურა საქართველოს ტერიტორიაზე, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს დეტალური გეგმა, სადაც ასახული იქნება, როგორ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე სასერვერო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აგებას და ვებ-ჰოსტინგის და ვებ-მაუწყებლობის ძირითადი პლატფორმის აგებას;

ბ) ინფორმაცია, სად არის განთავსებული საქართველოს საზღვრებს გარეთ (ევროპის ქვეყნებში ან აშშ ტერიტორიაზე) სასერვერო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, სადაც იქნება აგებული მოთხოვნილი სარეზერვო პლატფორმა, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება ვებ-ჰოსტინგის და ვებ-მაუწყებლობის სერვისების მიწოდება. იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელს (ტენდერის გამოცხადების დღეს) არ გააჩნია აღნიშნული ინფრასტრუქტურა საქართველოს საზღვრებს გარეთ, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს დეტალური გეგმა, სადაც ასახული იქნება, როგორ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 დღის განმავლობაში საქართველოს საზღვრებს გარეთ (ევროპის ქვეყნებში ან აშშ ტერიტორიაზე) ტერიტორიაზე სასერვერო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აგებას და ვებ-ჰოსტინგის და ვებ-მაუწყებლობის სარეზერვო პლატფორმის აგებას;

გ) მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ძირითადი და სარეზერვო პლატფორმების, სასერვერო და საქსელო ინფრასტრუქტურის დეტალური აღწერა. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მოთხოვნილი ჰოსტინგის პლატფორმის კომპონენტის ინსტალაციის და კონფიგურაციის დოკუმენტი. წარმოდგენილ დოკუმენტში ასევე ასახული უნდა იყოს: ჰოსტინგის პლატფორმის რესურსების სკალირების ფუნქციონალი, ძირითადი და სარეზერვო პლატფორმებს შორის მონაცემების სინქრონიზაციის საშუალებები, სარეზერვო პლატფორმაზე ყველა სერვისის გადართვის საშუალებები.

დ) მომწოდებელს უნდა გააჩნდეს მინიმუმ ერთი ანალოგიური პროექტის (ორწლიანი მომსახურების ვადით) რეალიზაციის პროექტი - წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ე) მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს იმ თანამშრომლების პროფესიული რეზიუმე (CV), რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნილი ჰოსტინგის პლატფორმის აგებას და შემდგომ მომსახურებას.

ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად ხელმოწერილი (იხ. დანართი N1) მომსახურების ერთეულის (ერთი თვის) და საერთო ფასები ***(აღნიშნულის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სატენდერო წინადადებაში ერთეულის და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით).***

ზ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ხელმძღვანელის და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი და პრეტენდენტის საბანკო რეკვიზიტები - აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის პროფილში არ არის და/ან არასრულად არის შევსებული შესაბამისი ინფორმაცია.

შენიშვნა:

- ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკური ტექნიკური აღწერილობა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზე.
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები და/ან ინფორმაცია (რომელიც ითვალისწინებს ხელმოწერას) უნდა იქნას ელექტრონულად ხელმოწერილი

შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

- <u>შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული არარეზიდენტი მომხმარებლები განთავისუფლებულები არიან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება.</u>
- **<u>პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.</u>**
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით (ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) და ვებ-მაუწყებლობის (სტრიმინგი), FTP ჰოსტინგის პლატფორმის სერვისის და კოლოკაციის ზონაში ფიზიკური სერვერის ქირავნობის სახელმწიფო შესყიდვა), შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის და გამოცდილების მქონე მიმწოდებელმა შესაძლებელია მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.
- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამის ტენდერში „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებიდან „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.
- ტენდერთან დაკავშირებული განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.
- ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, შესაბამის ტენდერში „შერჩევა/შეფასების“ სტატუსის მინიჭებიდან „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.
- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირია სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - გიორგი ფირცხალავა, ტელ: 2 40 91 45 - შესყიდვების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

ელექტრონულ ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, **<u>საბანკო გარანტია</u>**, ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2%-ის** ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების საბოლოო ვადას. - *<u>ასევე თუ ელექტრონულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი **20%**-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე გამოყენებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნვლყოფის გარანტიის ოდენობაც ასევე განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2%-ის** ოდენობით.</u>*

<u>- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების საბოლოო ვადას.</u>

3. მომსახურების გაწევის ვადები და ტექნიკური დავალება

არსებული მდგომარეობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებპლატფორმა 1TV.GE გათვლილია მრავალფეროვან მომხმარებელზე და ინფორმაციის მიღების მრავალ მეთოდზე - კითხვა, მოსმენა, ყურება, ანალიზი და სხვა.

ეს არის თანამედროვე, მულტიმედიური, ინტერაქტიული პლატფორმა, როგორც მობილურისთვის, გაჯეტებისთვის, ასევე დესკტოპ სისტემებისთვის, რომელიც არა მხოლოდ ეფექტიანი მაუწყებელია, არამედ მომხმარებელს რთავს მისთვის კიდევ უფრო საინტერესო კონტენტის შექმნაში.

1TV.GE არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პასუხი - კონტენტის წინ წამოწევა მრავალი არხის გაერთიანების საშუალებით. აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) და ვებ-მაუწყებლობის (Live Streaming) სერვისის შესყიდვას, რომელიც რეალიზებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული კომპონენტების საშუალებით.

სერვისის შესყიდვის ვადები

მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) და ვებ-მაუწყებლობის (Live Streaming) სერვისის შემდეგ ვადებში:

✓ ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) სერვისი - 2022 წლის 1-ელი იანვრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე)

✓ ვებ-მაუწყებლობის (Live/VOD/DVR Streaming) სერვისი - 2022 წლის 1-ელი იანვრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე).

✓ FTP ჰოსტინგის პლატფორმის სერვისი - 2022 წლის 1-ელი იანვრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე).

✓ დამატებითი ერთი სერვერი მაუწყებლის შიდა პროგრამული უზრუნველყოფისათვის - 2022 წლის 1-ელი იანვრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე).

ტექნიკური დავალება

შემსრულებელი იღებს ვალდებულება უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებების მიწოდება 2022 წლის 1 იანვრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე) საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, ტექნიკურ დავალებაში მოთხოვნილი პირობების შესაბამისად. კერძოდ:

ჰოსტინგ პლატფორმის აღწერა

შემსრულებელი იღებს ვალდებულება უზრუნველყოს ჰოსტინგის პლატფორმის აგება, რომელიც წარმოდგენილი იქნება შემდეგი კომპონენტების სახით :

- ვებსაიტის ფრონტალური პლატფორმა (Website Front Platform);
- ვებსაიტის ბექენდის პლატფორმა (Website Backend Platform);
- არარელაციური მონაცემთა ბაზის პლატფორმა (NoSQL Databases Platform);
- რელაციური მონაცემთა ბაზის პლატფორმა (SQL Database Platform);
- მასალის კეშირების პლატპორმა(Website Content Caching Platform)
- CDN ინფრასტრუქტურა;
- ტესტირების და დეველოპმენტის გარემო;
- ვებ-მაუწყებლობის (სტრიმინგის) პლატფორმა;
- პლეერი სტრიმინგ პლატპორმისთვის
- პირველი არხის სხვა პროექტების ჰოსტინგის პლატფორმა
- FTP ჰოსტინგის პლატფორმა
- დამატებითი ერთი სერვერი მაუწყებლის შიდა პროგრამული უზრუნველყოფისთვის

ჰოსტინგის პლატფორმაზე განთავსებული იქნება შემდეგი ვებ-გვერდები:

1. ძირითადი დომენი 1TV.GE. ამ ვებ-გვერდზე გადმომისამართებული იქნება შემდეგი დომენები: gpb.ge, sazogadoebrivi.ge, public.ge, radio2.ge, radio1.ge, 2tv.ge;

2. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ვებგვერდი - http://eurovision-georgia.ge/ და eurovision.ge, რომლებიც უნდა გადამისამართდეს გვერდზე http://1tv.ge/evrovizia

    - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი : 1tvapp.1tv.ge
    - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი : old.1tv.ge
    - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი : 360georgia.ge
    - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი : antifake.ge
    - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი/აპლიკაცია : martivilogika.1tv.ge

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი/აპლიკაცია : mj.1tv.ge
- საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი : projects.1tv.ge
- საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი : sainteresoadamianebi.1tv.ge
- საზოგაროებრივი მაუწყებლის პროექტი: elections.1tv.ge
- სხვა დამატებითი პროექტები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სერვისის გაწევის პერიოდში (ამ სერვისებისთვის გამოყოფილი იქნება საჭირო ფიქსირებული რესურსი).

ჰოსტინგის პლატფორმა რეალიზებული უნდა იქნეს Cloudlinux ან Red Hat Enterprise Linux-ის ოპერაციული სისტემების საშუალებით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს PHP-ის მიმდინარე და რაომდენიმე ძველი ვერსია (5.6-8.0 შუალედში), ასევე რეალურ დროში უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების სისტემა და WAF (web application firewall)

ვებსაიტის ფრონტალური პლატფორმა (Website Front Platform)

წარმოადგენს აპარატურულ/პროგრამულ პლატფორმას, რომელზეც ხვდება მომხმარებელი მისამართის აკრეფისას.

აუცილებელი მოთხოვნები ამ კომპონენტისთვის არის მაღალი მდგრადობა და დაცვა ნებისმიერი გარე ტიპის შეტევისგან, მათ შორის DDoS შეტევებისგან.

DDoS შეტევებისგან დაცვა უზრუნველყოფილი იქნება საერთაშორისო DDoS დაცვის სისტემის პროვაიდერის, როგორიც არის Cloudflare-ი, ან მისი რომელიმე ფუნქციონალური ალტერნატივა, მაგ. Encapsula ან სხვა.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამედროვე WAF-ის (Web Application Firewall) ფუნქციონალი. აღნიშნულ WAF-ის კომპონენტი ასევე ახდენდეს SSL-ის ტერმინაციას.

WEB საიტზე 1TV.GE ყველა სესია იქნება SSL-ით. მომწოდებელმა, ვებ-ჰოსტინგის სერვისის მოწოდების პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული საიტისთვის უზრუნველყოფილი იქნება SSL სერტიფიკატის მოწოდება, რომელიც თავსებადია თანამედროვე ვებ ბროუზერებთან და მოწყობილობებთან.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს Load Balancer-ს კომპონენტი, რომელსაც უნდა შეეძლოს Back სერვერების მონიტორინგი 7 დონეზე და დაბალანსების ალგორითმის შერჩევის შესაძლებლობა (round robin, least connection, response time) და Back სერვერებზე პრობლემის აღმოჩენისას მისი კლასტერიდან გამოყვანა მაქსიმუმ 3 წამის განმავლობაში.

ასევე ვებ გვერდის ჩატვირთვის სიჩქარის მაქსიმალური ოპტიმიზაციისთვის პლატფორმაზე არსებობს ქეშირების მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა კონკრეტული მისამართებისთვის ან ჯგუფისთვის განსაზღვროს ქეშირების დროები, ახდენს სისტემაში შესული მომხმარებლის ამოცნობას, რათა არ მოხდეს მომხმარებელთა შორის კონფიდენციალური გვერდების ქეშირება. ასევე ქეშირების პლატფორმას შეუძლია მომხმარებლის პლატფორმის იდენტიფიცირება და ქეშირების წარმოება პლატფორმის შესაბამისად (მობილური, პლანშეტი, დესკტოპი)

ვებსაიტის ბექენდის პლატფორმა (Website Backend Platform)

პლატფორმა წარმოადგენს PHP Application სერვერების ჯგუფს, რომელშიც ხდება ავტომატური სიმძლავრის სკალირება დატვირთვის მიხედვით.

სკალირება მოხდება ავტომატურ რეჟიმში ან სერვერების რაოდენობის ან მათი სიმძლავრის გაზრდის მეთოდით (რეკომენდირებულია კომბინირებული მეთოდის არსებობა).

Backend სერვერების ჯგუფი დროის ნებისმიერ მომენტში იმუშავებს N+1 რეჟიმში (სადაც N-ი იმ სერვერების რაოდენობაა, რაც ამ მომენტში საკმარისია საიტზე არსებული დატვირთვის დასამუშავებლად).

პლატფორმის პროვაიდერი უზრუნველყოფს სისტემის სკალირებისას საიტის კოდის სინქრონიზაციას ყველა სერვერზე.

პლატფორმის პროვაიდერი უზრუნველყოფს სერვერების ჯგუფში საერთო სესიების pool-ის არსებობა საიტის აპლიკაციისთვის გამჭვირვალედ.

პლატფორმაში მოიაზრება 2 სერვერული ჯგუფის არსებობა:

- საიტის frontend-ის ჯგუფი - აქ განთავსდება კოდი, რომელიც უშუალოდ მომხმარებლების მოთხოვნებს დაამუშავებს;

- დავალებების სერვერების ჯგუფი- სერვერები, რომლებზეც მოხდება რეგულარული დავალებების გაშვება, როგორიც არის საიტისთვის საჭირო cron დავალებები, სტატისტიკის დამუშავება და ასე შემდეგ.

მობილური აპლიკაციები

სატენდერო პირობებში გათვალისწინებულია პირველი არხის არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი მობილური აპლიკაციების სასერვერო უზრუნველყოფა.

- საჭიროებისამებრ ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის ატვირთვა
- CDN-ის გამოყოფა

არარელაციური მონაცემთა ბაზის პლატფორმა (NoSQL Database Platform)

საიტის ფუნქციონირებისთვის საჭირო NoSQL ბაზების Redis და Memcache. Redis გამოიყენება საიტის გარკვეული ელემენტების ქეშირებისთვის. Memcache session storage engine-ად.

ორივე სისტემა წარმოდგენილია დუბლირებული სახით, active-passive ან active-active კლასტერის რეჟიმში.

რელაციური მონაცემთა ბაზის პლატფორმა (SQL Database Platform)

მონაცემთა ბაზების სერვერი საიტისთვის. ჯამური დატვირთვის გათვალისწინებით აუცილებელია შემდეგი ტექნიკური შესაძლებლობები:

ბაზების სერვერები დროის ნებისმიერ მომენტში იმუშავებს N+1 რეჟიმში (სადაც N-ი იმ სერვერების რაოდენობაა, რაც ამ მომენტში უზრუნველყოფს საიტის გამართულ მუშაობას არსებული დატვირთვის დასამუშავებლად).

ბაზის მხარეს იქნება შესაძლებლობა გასული რამდენიმე დღის რომელიმე მდგომარეობაზე დაბრუნების სარეზერვო ასლის გამოყენების გარეშე (binary log).

ასევე უზრუნველყოფილი იქნება მინიმუმ 90 დღის ყოველდღიური სარეზერვო ასლები.

CDN ინფრასტრუქტურა

საიტზე განთავსებული მულტიმედია მასალის (ვიდეო ფაილები, დოკუმენტაცია) განსათავსებლად საჭირო CDN სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მაქსიმალურად სწრაფი მიწოდება საბოლოო მომხმარებლამდე.

ამ მომენტში არსებული მონაცემები წარმოადგენს 40TB და ხდება წელიწადში ზრდა 5-7TB მოცულობით.

აუცილებელი მოთხოვნები CDN სისტემასთან:

- ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობა და მიწოდება მსოფლიოს რამდენიმე წერტილში, მათ შორის CDN-ის პროვაიდერს აქვს საჭირო სიმძლავრეები, რომ საერთო დატვირთვის 80%-მდე გაცემას მოახდენს საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული სერვერებიდან და აქვს პირდაპირი ჩართვები მინიმუმ რამდენიმე დიდ ქართულ პროვაიდერთან;
- CDN პლატფორმა ახდენდენს ავტომატურ geolocation-ის მიხედვით გადანაწილებას მოხმარებლების უახლოეს სერვერამდე, მინიმუმ 2 ასეთის არსებობის პირობებში;
- CDN პლატფორმას გააჩნია tiering-ის შესაძლებლობა და უზრუნველყოფს განთავსებულ ინფორმაციის 1%-ზე საერთო დატვირთვის 90% უზრუნველყოფა;
- წვდომა CDN პლატფორმასთან შესაძლებელია FTP და Amazon S3 პროტოკოლებით
- CDN პლატფორმა უზრუნველყოფს სტატიკურ მისამართებს განთავსებული მასალის;
- CDN პლატფორმას აქვს ვიდეოს ფსევდო სტრიმინგის მხარდაჭერა https პროტოკოლებით;

ჰოსტინგის პლატფორმის აღწერა

ოპერაციული სისტემა;

CloudLinux ან თავსებადი ნებისმიერი linux სისტემა რომელიც უზრუნველყოფს ჰოსტინგის მოხმარებლების 100% იზოლაციას ერთმანეთისგან, როგორც უსაფრთხოების, ასევე რესურსების კუთხით და იძლევა შესაძლებელობას კონკრეტულ ჰოსტინგის ანგარიშებზე დაკონფიგურირდეს პროცესორული რესურსის, ოპერატიული მეხსიერების, დისკის მოცულობის და დისკად წვდომის სიჩქარის, ოპერაციების რაოდენობის

ინდივიდუალური კონტროლი და სტატისტიკა, სადაც შესაძლებელია კონკრეტული ანგარიშის მიერ სერვერული რესურსების გამოყენების სტატისტიკის ნახვა.

ასევე შესაძლებელია იმავე ჰოსტინგის ანგარიშებისთვის ოპერაციული სისტემის დონის ლიმიტების დაყენება, როგორიც არის ერთდროული პროცესების რაოდენობა, გამოყენებული სივრცე, ფაილების დესკრიპტორების რაოდენობა.

სერვერზე ერთდროულად დაყენებული იქნება php-ს ვერსიები 5.2-დან მიმდინარე სტაბილურის ჩათვლით (ამ მომენტში 7.4, სერვისის გაწევის პერიოდში ახალი ვერსიის გამოსვლის შემთხვევაში შემსრულებელი უზრუნველყოფს გონივრულ პერიოდში სერვერზე ახალი ვერსიის დაინსტალირება/კონფიგურაცია).

როგორც ჰოსტინგის ანგარიშების, ასევე კონკრეტული საიტების დონეზე ერთი ანგარიშის ქვეშ შესაძლებელი იქნება სასურველი ვერსიის php-ის დაყენება/ამორჩევა, ასევე ინდივიდუალურად საიტის ან ანგარიშის დონეზე php-ს პარამეტრების მართვა.

PHP-ის იმ ვერსიებისთვის, რომლებიც PHP.net მხრიდან მხარდაჭერით აღარ სარგებლობს, უზრუნველყოს რომელიმე სხვა მომწოდებლისგან ამ ვერსიების ინსტალაცია, რომელშიც უკვე გასწორებულია ის უსაფრთხოების სისუსტეები, რაც ამ ვერსიაში ნაპოვნია და php.net-მა უარი განაცხადა გასწორებაზე მოძველებული ვერსიის გამო (hardened legacy PHP versions).

ოპერაციულ სისტემას ექნება ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა უსაფრთხოების განახლების ისე დაყენებას, რომ მინიმალურამდე იქნება დაყვანილი სისტემის გადატვირთვა და სერვისის შეფერხება (მათ შორის, ოპერაციული სისტემის ბირთვის განახლებების დაყენება შესაძლებელი იქნება სისტემის გადარესტარტების გარეშე).

ჰოსტინგის მართვის პანელი: Plesk

ან რომელიმე მასთან ფუნქციონალურად სრულად თავსებადი.

მართვის ინტერფეისები იქნება წარმოდგენილი, როგორც ვებ ინტერფეისის სახით, ასევე RESTful API ინტერფეისიის სისტემებთან ინტეგრაციისთვის.

ჰოსტინგ პანელის აუცილებელ ფუნქციონალში შედის:

1. საიტების web hosting-ი (php-ის კონფიგურაციის აუცილებელი პარამეტრები ზემო პუნქტებშია მოყვანილი).
2. მონაცემთა ბაზების მართვა (mysql-ის ტიპის).
3. ელ-ფოსტების მართვა
4. უსაფრთოხების პარამეტრების მართვა

უსაფრთხოების ფუნქციონალი:

სერვერი აღჭურვილი იქნება პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციონალს:

1. IPS/IDS სისტემა, რომელიც web/mail/management interface-ებზე წვდომის ანალიზის მიხედვით ახდენს შეტევის ან არასანქცირებული წვდომის მცდელობების იდენტიფიკაციას და რეალურ დროში დაბლოკვას.

2. იმავე სერვისებზე განხორციელებული და დაბლოკილი შეტევების შესახებ რეპორტინგის შესაძლებლობა, მათ შორის ავტომატური abuse-ების გენერაციის შესაძლებლობა შემტევი ip მისამართების მფლობელი კომპანიების მიმართ.

3. ანტივირუსი რეგულარულად განახლებადი ბაზით, რომელიც შეიცავს არა მარტო windows/mac/linux-ის ვირუსების აღმოჩენა/იზოლაციის ფუნქციონალს, დამატებით

ცნობილი web framework-ების ამ და ბიბლიოთეკებში არსებული სისუსტეების შესახებ ინფორმაციას და მათი იზოლირების ფუნქციონალს არსებულ საიტებზე. (რეალურ დროში სკანირების ფუნქციონალით).

4. ამ სერვერზე განთავსებულ საიტებზე - გამოყენებული პოპულარული ვერსიების framework-ების ან ბიბლიოთეკების შემთხვევაში, სისტემა, რომელიც ინფორმაციას მიაწვდის ჰოსტინგის ადმინისტრატორს უსაფრთხოების განახლების არსებობის შესახებ (კონკრეტულად სკრიპტებში).

5. WEB აპლიკაციის firewall-ი როგორც ხელით მართვის შესაძლებლობით, ასევე ავტომატიზირებული კონფიგურაციების მორგების შესაძლებლობით.

ტესტირების და დეველოპმენტის გარემო

ვებ-ჰოსტინგის სერვისის მოწოდების მთელ პერიოდში უზრუნველყოპილი იქნება continuous integration / continuous delivery პროცესი და ამ პროცესის გამართულობის მონიტორინგი.

ასევე, ვებ-ჰოსტინგის სერვისის მოწოდების მთელ პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება სატესტო გარემო.

სატესტო გარემოს არქიტექტურა საწარმოდგენილი იქნება გარემოს ანალოგიული და ლიმიტირებული მასშტაბით. სატესტო გარემოში წარმოდგენილი იქნება შემდეგი კომპონენტები: Website Front Platform, NoSQL Databases Platform, SQL Database Platform, CDN ინფრასტრუქტურა.

აღნიშნულ სატესტო გარემოში განხორციელდება ცვლილებების წინასწარი ტესტირება და შემდგომი გადატანა საწარმო გარემოში.

ნებისმიერი პროგრამული კომპონენტის განახლება რაც მოხდება სისტემაში (ეს არ ეხება განახლებებს, რომელიც მხოლოდ არსებული უსაფრთხოების შეცდომის გასწორებას ახდენს), მოხდება ჯერ სატესტო გარემოზე და მხოლოდ შემდეგ გადავა საწარმო გარემოს ინფრასტრუქტურაში. შემსრულებელი ასევე უზრუნველყოფს სატესტო გარემოს სასერვერო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს (სასერვერო, საქსელო და სერვისების მონიტორინგი) და უზრუნველყოფილი იქნება დამკვეთისათვის წვდომა მონიტორინგის სისტემაზე და ხდომილებების ჟურნალებზე (ლოგებზე).

ცვლილებების გადატანის პროცესი იქნება ავტომატიზირებული და დეველოპერების მხრიდან ცვლილების ინიციალიზაცია მოხდება შესაბამის source control სისტემის შესაბამის brench-ზე კოდის განახლებით.

მონიტორინგი და უსაფრთხოება

შემსრულებლის მიერ სერვისის განხორციელების მთელ პერიოდში, მოახდენს ზემოთ მოყვანილი სრული სასერვერო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს (სასერვერო, საქსელო და სერვისების მონიტორინგს) და რეაგირებას ყველა წარმოქმნილ პრობლემაზე 24x7 რეჟიმში.

ასევე მუდმივად/რეგულარულად და მყისიერი მოთხოვნის საფუძველზე იქნება წარმოდგენილი სისტემის ყველა კომპონენტის დატვირთვის სტატისტიკას. მონიტორინგის სისტემაში წვდომა ექნებათ დამკვეთის პასუხისმგებელ თანამშრომლებს, მინიმუმ ორ თანამშრომელს.

დამკვეთისათვის მუდმივად წვდომადი მონიტორინგის ფუნქციონალი აგებული იქნება შესაბამისი ვებგვერდების საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ დროში

(არაუმეტეს 10 წამამდე დაყოვნებისა და განახლებით) არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: პლატფორმის ყველა ფიზიკური და ვირტუალური სერვერის პროცესორების, მეხსიერების, ქსელისა და დისკური მასივების მიმდინარე დატვირთვა. პლატფორმის მიმდინარე მომხმარებლების/სესიების რაოდენობა, Live და VOD ვიდეო სტრიმების მიმდინარე რაოდენობა და ჯამურ ბიტრეიტები. ჯეოლოკაციის ფილტრით უარყოფილი მომხმარებლების მიმდინარე რაოდენობა (ბოლო 1 წუთში, ბოლო 1 საათში, ბოლო 24 საათში). მონაცემები უნდა ისახებოდეს როგორც ავტომატურად განახლებადი რიცხობრივ-ტექსტუალური ასევე გრაფიკული სახით. რიცხობრივი/სტატისტიკური პარამეტრების კრიტიკულ ზღვრებამდე მიახლოების შემთხვევაში მონიტორინგის სისტემა უნდა ატყობინებდეს ოპერატორს ამის შესახებ.

პლატფორმის პროვაიდერის მიერ უზრუნველყოფილი იქნება ყველა გამოყენებული კომპონენტის სარეზერვო ასლების არსებობა და მათი შენახვა წინასწარ გაწერილი ვადებით (ბაზები 90-დღემდე, საიტის კოდი - 30 დღე, cdn მასალა 7 დღე).

პლატფორმის პროვაიდერის მიერ უზრუნველყოფილი იქნება რეგულარული რეპორტინგი, როგორც არსებული სისტემის დატვირთვის ინფორმაციის შესახებ, ასევე პოტენციური ოპტიმიზაციების რეკომენდაციებით (მაგალითად, დამატებითი კეშირების სისტემები ან ბაზის ოპტიმიზაციის რეკომენდაციები).

პლატფორმა უზრუნველყოფს ლოგების ცენტრალიზირებულ შეგროვებას და ანალიზს.

წვდომები პლატფორმის ამა თუ იმ კომპონენტზე არის მკაცრად რეგულირებული და აღწერილი წინასწარ.

ნებისმიერი კომუნიკაცია შიდა სისტემებთან (back/nosql/sql/cache) ხორციელდება მხოლოდ დაცული საკომუნიკაციო (VPN) არხების საშუალებით.

ვებ-მაუწყებლობის (სტრიმინგის) პლატფორმა

შემსრულებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის შენობიდან (მის: ქ. თბილისი, კოსტავას №68) სტრიმინგ სიგნალის წაღება სტრიმინგის საკუთარ პლატფორმამდე. სტრიმინგის პლატფორმა გათვლილი იქნება შემდეგი არხების მომსახურებისათვის:

1. I - სატელევიზიო არხისათვის;
2. I არხი - ტელესკოლისთვის;
3. პირველი რადიო არხისათვის;
4. მეორე რადიო არხისათვის;
5. ონლაინ სტრიმინგი - ორი არხი - ონლაინ პროდუქტების სტრიმინგის უზრუნველყოფისთვის; (ასევე წარმოდგენილ პლატფორმას, მომავალში ექნება ხარისხის 4K-მდე გაზრდის საშუალება)
6. ფიზიკური ინკოდირების და მიწოდების არხების ჯამური რაოდენობა იქნება არანაკლებ - 8x SDI INPUT; 4x Audio Input გაზრდის შესაძლებლობით.
7. ჯამური სივრცე არქივის ჩანაწერებისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის იქნება- არანაკლებ 1 თვე.
8. სხვა სტრიმების რაოდენობა, რომელიც publish-საც მაუწყებელი აკეთებს საკუთარი ენკოდერებიდან- არსებული 2 და 2-ის დამატებითი შესაძლებლობით.

სატელევიზიო არხის სტრიმინგის პლატფორმა აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- პროფესიონალური სტრიმინგის პლატფორმა;

- სტრიმინგის შესაძლებლობა, MS Windows, Linux და Mac ოპერაციული სისტემების კომპიუტერებისთვის;

- სტრიმინგის შესაძლებლობა მობილური მოწყობილობებისთვის: Android/ iPhone/iPad

მობილური ტელეფონები და პლანშეტები,

მომხმარებელს ექნება სტრიმინგის ხარისხის არჩევის შესაძლებლობა:

- დაბალი ხარისხი (240p ექვივალენტი), ბიტრეიტი 300-500 კბ/წმ, სკრინის ზომა 720x405;
- საშუალო (360p ექვივალენტი), ბიტრეიტი 700-800 კბ/წმ, სკრინის ზომა 960x540;
- სტანდარტული ხარისხი (480p ექვივალენტი), ბიტრეიტი 1000-1500 კბ/წმ, სკრინის ზომა 1024x576;
- მაღალი HD ხარისხი (720p ექვივალენტი), ბიტრეიტი 2500-4000 კბ/წმ, სკრინის ზომა 1280x720;

- სტრიმინგის არხის გამტარუნარიანობა არანაკლებ 30გბ/წმ;

- დამატებითი სიმძლავრეების ორგანიზების შესაძლებლობა, ჯამური გამტარუნარიანობით 60გბ/წმ-მდე გაზრდა, წელიწადში არანაკლებ 14 დღის განმავლობაში, ამასთან გაზრდის მოთხოვნა მიწოდებული უნდა იყოს 72 საათით ადრე;

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, გლობალურ ინტერნეტში ჩავარდნის შემთხვევაში, საქართველოს საზღვრებს გარეთ სატელიტიდან სიგნალის მიღების და ტრანსლაციის ფუნქციონალი;

- ინტერნეტ სტრიმინგის ფუნქციონალის გარდა შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს html5 სტანდარტის პლეერი (ან ნებისმიერი სხვა სტანდარტი, რომელიც თანამედროვე browser-ებში არ საჭიროებს რაიმე დამატებით plugin-ის ინსტალაციას), რომელსაც უნდა გააჩნდეს შემდეგი შესაძლებლობები:
    - ლაივ სტრიმინგის და DVR-ის ჩვენება ნავიგაციის შესაძლებლობით

- ფლეერის გრაფიკული ინტერფეისი უნდა იყოს ბრენდირებული დამკვეთის მოთხოვნების მიხედვით (დამკვეთი თავად უზრუნველყოფს ფლეერის დიზაინს, რომლის ქვეშ მოხდება ბრენდირება)
- ფლეერის ფუნქციონალში გათვალისწინებული უნდა იყოს
    - EPG გადაცემების პროგრამა და ნავიგაცია მის მიხედვით;
    - დროის მიხედვით ნავიგაცია;
    - უნდა იყოს ადაპტირებული ფუნქციონალი კომპიუტერებისთვის და სხვა მობილური პლატფორმებისთვის;
    - გადახვევის ინტერფეისში ნავიგაცია შესაძლებელი უნდა იყოს იმ მომენტის სურათების (thumbnail)-ების მიხედვითაც ან რაიმე სხვა სახის გამარტივებული ნავიგაცია, რომელიც დაყრდნობილი იქნება კონკრეტული მომენტის გრაფიკულ წარმოდგენაზე;
    - შესაძლებელი უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში embed player-ის ფუნქციონალი, რომელიც შეიძლება განთავსდეს სხვა ინტერნეტ რესურსებზე;
    - შესაძლებელი უნდა იყოს GeoLocation სერვისების გამოყენებით, მომხმარებლის გეოგრაფიული ლოკაციის მიხედვით კონკრეტულ ფრაგმენტებზე და/ან კონტენტზე წვდომის შეზღუდვა და ამ შეზღუდგების მართვის ინტერფეისი

- გადახვევის ფუნქცია 30 (ერთი თვე) სრული დღე;
- არხის მიერ მიწოდებული სიგნალის ხარისხის მონიტორინგი - რაც უნდა ითვალისწინებდეს კადრის ცვლილების ან/და ხმის დონის მონიტორინგს
- შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს რომელიმე გარე არხის მეშვეობით საიტის ჰოსტინგის და სტრიმინგის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი და შეფერხების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
- გადახვევის მინიმალური ბიჯი (dvr) - 30 წამი;
- სტრიმიდან სურათების (thumbnail-ების) ამოღების შესაძლებლობა;
- მომხმარებლისათვის სტრიმინგის მიწოდების შესაძლებლობა მსოფლიოს რამოდენიმე წერტილიდან;

- სტრიმებზე ინდივიდუალურად მომხმარებლების ავტორიზაციის ფუნქციონალი - რაც გულისხმობს საიტის მხარეს (კოდში ან ადმინისტრირების ინტერფეისში) არსებობდეს მომხმარებლების მართვის ფუნციონალი და სტრიმინგ პლატფორმა უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის სტიმინგ მომსახურების მიწოდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ავტორიზირებულია საიტის მხარეს (სტრიმის ავტორიზაცია არ გულისხმობს საიტზე ავტორიზაციას, ეს არის ცალკე ფუნქციონალი, რის საფუძველზეც თვითონ საიტის კოდი იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური მომხმარებლის სტრიმზე წვდომის დროს, უნდა მოხდეს თუ არა ამ მომხმარებელზე სტრიმის მიწოდება), ეს ფუნქციონალი საშუალებას იძლევა საიტის მხარეს მარტივად განხორციელდეს ისეთი ფუნქციები, როგორიცაა მასალის Geo Blocking-ის ფუნქცია, ასევე თავიდან იქნას აცილებული სტრიმებზე წვდომა სხვა საიტების ინტერფეისიდან.

- სტრიმებზე ავტორიზაციის ფუნქციონალს უნდა შეეძლოს როგორც პირველადი მომხმარებლის ავტორიზაცია, ასევე საჭიროების შემთხვევაში უკვე არსებული მომხმარებლისთვის სტრიმის შეწყვეტის ფუნქციონალს (მაგალითად: მომხმარებელელი რომელიც უცხოეთიდან უყურებს სტრიმს და თუ დაწყების შემდეგ, რაღაც დროის მომენტში სტრიმზე GeoBlocking-ის ფუნქცინალი ირთვება, რომლის მიხედვითაც ამ მომხმარებელს აღარ აქვს უფლება გადანგრძოს სტრიმის ყურება, ამ მომხმრებელს GeoBlocking-ის დაწყებიდან 60 წამის განმავლობაში უნდა გაეთიშოს წვდომა სტრიმზე).

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა ზემოთ ხსენებული არხისათვის (3 საეთერო + 2 ონლაინ) მოთხოვნილი სტრიმინგის სერვისის უწყვეტობას და მაღალი მიწვდომადობას;

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე მოთხოვნილი სტრიმინგის სერვისისათვის შესაბამისი სასერვერო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არსებობას;

FTP ჰოსტინგის პლატფორმა

შემსრულებელის მიერ უნდა მოხდეს 2TB სივრცის გამოყოფა რაიდში დაზღვეული მაღალი წარმადობის სერვერიდან. ასევე შემსრულებელმა უნდა მოახდინოს არსებული სერვერიდან სრული ინფორმაციის მიგრაცია, ინფორმაციის კარგვის

გარეშე და იგივე კონფიგურაციით რაც დღესდღეობითაა.

ასევე უზრუნველყოს შემდეგი ტექნიკური მოთხოვნები:

ლოკალური შეერთების სიჩქარე - 1Gbps

სტატიკური IP მისამართები - 2

გლობალური შეერთების სიჩქარე - 50 Mbps

დამატებითი ერთი სერვერი მაუწყებლის

კოლოკაციის ზონაში ფიზიკური სერვერის ქირავნობა (12 თვის განმავლობაში)

შემსრულებლის მიერ უნდა მოხდეს ფიზიკური ან ვირტუალური სერვერის გამოყოფა კოლოკაციის ზონაში.

სერვერის პარამეტრები უნდა აკამაყოფილებდეს არანაკლებ:

CPU: 16x Cores,

RAM: 16GB,

Disk: 2X500 GB SSD RAID1

OS: Windows Server Platform

მიერთება: 1გბ/წმ ადგილობრივ რესურსებთან (ლოკალი),

10მბ/წმ საერთაშორისო რესურსებთან (გლობალი)

სტატიკური ინტერნეტ IP მისამართი.

ასევე შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის ლიცენზირება.

სისტემის მდგრადობა და წარმადობა

შემსრულებულიმა უნდა უზრუნველყოს ჰოსტინგის პლატფორმის აგებას ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების სახით და ყოველივე კომპონენტის სასერვერო პარამეტრები (პროცესორების სიმძლავრე და რაოდენობა, ოპერატიული მეხსიერების რაოდენობა, დისკური მოცულობა), ასევე ქსელის გამტარუნარიანობა გათვლილი იქნება მომწოდებლის მიერ, რომ უზრუნველყოს:

- ვებ ჰოსტინგის სისტემის გამართული ფუნქციონირება 100 000 კონკურენტულ მომხმარებელზე;
- დატვირთვის, კონკურენტული მომხმარებლების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში მომწოდებელმა უზრუნველყოსჰოსტინგის პლატფორმის რესურსების შესაბამის ავტომატიზირებულ სკალირებას;
- ერთდროული/კონკურენტ მომხმარებლების მაქსიმალური რაოდენობა - 100 000 მომხმარებელი;

ვებ-ჰოსტინგის და ვებ-მაუწყებლობის მოთხოვნილი სერვისების მიწოდებისათვის, ჰოსტინგის პლატფორმის ყველა კომპონენტის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სასერვერო და საკომუნიკაციო ინფრაქტრუქტურა განთავსებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე და ეს იქნება ძირითადი/ცენტრალური პლატფორმა, რომელსაც გააჩნია პირდაპირი ჩართვა რამდენიმე ქართულ პროვაიდერთან.

დამატებით საქართველოს საზღვრებს გარეთ (ევროპის ქვეყნებში ან აშშ ტერიტორიაზე) შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ჰოსტინგის სრული

პლატფორმის სარეზერვო ინფრასტრუქტურას - ვებ-ჰოსტინგის და ვებ-მაუწყებლობის სარეზერვო პლატფორმას.

აღნიშნულ სარეზერვო პლატფორმაზე ყველა სერვისის გადართვა ხორციელდება ავტომატურად, მაქსიმუმ 300 წამის განმავლობაში, საქართველოში განთავსებული ძირითადი/ცენტრალური პლატფორმის მწყობრიდან გამოსვლის ან მიუწვდომადობის შემთხვევაში.

საქართველოში განთავსებული ჰოსტინგის პლატფორმის და სარეზერვო პლატფორმებს შორის მონაცემების სინქრონიზაცია ხორციელდება ავტომატურად, მაქსიმუმ 60-წამიანი დაყოვნებით.

ინფრასტრუქტურის აღწერა და მომსახურების დონე

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ძირითადი და სარეზერვო პლატფორმების აგებას, სასერვერო და საქსელო ინფრასტრუქტურის დეტალურ აღწერას, სადაც იქნება ინსტალირებული მოთხოვნილი სისტემა.

ასევე წარმოდგენილი იქნება ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტის ინსტალაციის და კონფიგურაციის დოკუმენტი.

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ვებ-ჰოსტინგის და ვებ-მაუწყებლობის მომსახურების სრული პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოს მომსახურების დონე, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილი N1-ში.

ცხრილი #1 - საგარანტიო მომსახურების გაწევის ვადები

პრიორიტეტი	**საპასუხო ქმედების დრო**	**გადაწყვეტის მაქსიმალური დრო**	**მხარდაჭერის დრო**
პრიორიტეტი 1	1 საათი ნაკლები	არაუმეტეს 1 საათი	24 x 7
პრიორიტეტი 2	1 საათი ნაკლები	არაუმეტეს 3 საათი	24 x 7
პრიორიტეტი 3	2 საათი ნაკლები	არაუმეტეს 1 სამუშაო დღე	სამუშაო საათები 09.00-18.00, ორშაბათი - პარასკევი
პრიორიტეტი 4	4 საათი ნაკლები	არაუმეტეს 2 სამუშაო დღე	სამუშაო საათები 09.00-18.00, ორშაბათი - პარასკევი

შემსრულებელი უზრუნველყოფს ინციდენტების/პრობლემების მართვის სისტემას, სადაც დამკვეთის მხრიდან იქნება რეგისტრირებული ინციდენტები და პრობლემები. ყოველი თვის ბოლოს პროვაიდერის მხრიდან წარმოდგენილი იქნება რეპორტი, სადაც ასახული იქნება თვის განმავლობაში რეგისტრირებული ინციდენტები, რეაგირების დროები და ინციდენტების მოგვარების გადაწყვეტილებები. ყოველი ინციდენტის/პრობლემის პრიორიტეტულობის დონეს განსაზღვრავს დამკვეთი.

შესასრულებელი სამუშაოები

შემსრულებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან უზრუნველყოფს:

მაქსიმუმ სამი კალენდარული დღის განმავლობაში სატესტო გარემოს აგებას საქართველოს ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ არსებულ ჰოსტინგ პლატფორმაზე;

მაქსიმუმ შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში საწარმო გარემოს აგებას საქართველოს ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ არსებულ ჰოსტინგ პლატფორმაზე;

საქართველოში ძირითადი/ცენტრალური და საზღვარგარეთ განთავსებული სარეზერვო პლატფორმების აგებას, რომელიც დასრულებული იქნება მაქსიმუმ 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

• შემსყიდველი მომსახურების შესრულების პარალელურად განახორციელებს შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების) შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების შემოწმების პროცესში აღმოაჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე (შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ).

• შესყიდვის ობიექტის შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

• ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, (ყოველთვიურად) მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში (წინასწარი (საავანსო) გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება),

• სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: 100 % - სახელმწიფო ბიუჯეტი (2022 წლის სახსრები)

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - ლარი.

დანართი N1 - ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: _____; მისამართი: _____; ტელ: _____;
ელ. ფოსტა: _____ და საბანკო რეკვიზიტები_____;

N	მომსახურების დასახელება (შესყიდვის ობიექტის ტექნიკური ცპეციფიკაციები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში)	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	**ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) და ვებ-მაუწყებლობის (Live Streaming) სერვისი**	**თვე**	**12**		- ₾
2	**FTP სერვერის კოლოკაციის მომსახურება ტექნიკური დავალების შესაბამისად**	**თვე**	**12**		- ₾
3	**კოლოკაციის ზონაში ფიზიკური სერვერის ქირავნობა**	**თვე**	**12**		- ₾
				ჯამი	- ₾

შენიშვნა: პრეტნედენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მომსახურების ერთეულის და საერთო ფასები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და სხვა ხარჯების გათვალისწინებით **(აღნიშნულის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდეტის დისკვალიფიკაციას)**

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

(თანამდებობა და ხელმოწერა*)

*- ფასების ცხრილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იყოს ელექტრონულად ხელმოწერილი ან/და დამოწმებული უნდა იყოს ელექტრონული შტამპით

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი **ხელშეკრულება N** 2021 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) მისი გენერალური დირექტორის თინათინ ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ——————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) მისი დირექტორის ——————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე: შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი **(NAT----------)** ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) და ვებ-მაუწყებლობის (სტრიმინგი), FTP ჰოსტინგის პლატფორმის სერვისის და კოლოკაციის ზონაში ფიზიკური სერვერის ქირავნობის სახელმწიფო შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი №72415000 - მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგი), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება.

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკურულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინდადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;.

გ) სატენდერო დოკუმენტაცია;

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) და ვებ-მაუწყებლობის (სტრიმინგი), FTP ჰოსტინგის პლატფორმის სერვისის და კოლოკაციის ზონაში ფიზიკური სერვერის ქირავნობის სახელმწიფო შესყიდვა

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი.

5.2 შემსყიდველი მომსახურების გაწევის პარალელურად განახორციელებს შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების) ტექნიკურ შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის პერიოდში აღმოაჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე (შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდე).

5.3 შესყიდვის ობიექტის შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განახორციელოს ტექნიკური დავალებით გაწერილი ვადების და პირობების შესაბამისად, კერძოდ ვებ-მომსახურების (ვებ-ჰოსტინგის) და ვებ-მაუწყებლობის (Live Streaming) სერვისი, FTP ჰოსტინგის პლატფორმის სერვისის და კოლოკაციის ზონაში ფიზიკური სერვერის ქირავნობის მომსახურება 2022 წლის 1 იანვარიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე).

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად), შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.1 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7.4 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

8.2 გადახდის ფორმა - უნაღდო

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, (ყოველთვიურად) მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში, ***<u>წინასწარი (საავანსო) გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება)</u>***

8.4 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: ***<u>100 % - სახელმწიფო ბიუჯეტი (2022 წლის სახსრები)</u>***

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2 ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე _ საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2 %** - ის ოდენობით. <u>იმ შემთხვევაში *თუ ელექტრონულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი **20%**-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2%-ის** ოდენობით.*</u>

<u>- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების საბოლოო ვადას.</u>

12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულების) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

12.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის - 0.02 %-ს.

13.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.

13.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილებულ დღეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს 1% შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მომსახურების პერიოდში მიმწოდებელის მიერ გაწეული მომსახურებაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ხარვეზები და შემსყიდველის მიერ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დამატებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნული ხარვეზები არ იქნება აღმოფხვრილი/გამოსწორებული შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 14.1 და 14.2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

14.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

14.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

16. დამატებითი პირობები

16.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

16.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ყოველი მხარისთვის.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #68
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163

რეკვიზიტები:
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი: TRESGE22

გენერალური დირექტორი
თინათინ ბერძენიშვილი ----------